სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სექტემბერი, 2023 წ.

ბრძანება №01-02/181

ბსუ-ს 2023-2024 სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, ,,ბსუ-ს 2023-2024 სასწავლო წლის **აკადემიური კალენდარის** დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 21 ივლისის №06-01/77 დადგენილების, ,,2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს სტუდენტთა **ადმინისტრაციული რეგისტრაციის (სწავლის საფასურის გადახდის) ვადების** განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 18 აგვისტოს №01-02/153 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 21 ივლისის №06-01/77 დადგენილებით დამტკიცებულ ,,ბსუ-ს 2023-2024 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, სასწავლო წელი დაიწყოს 1 კვირით გვიან და აღნიშნულის გათვალისწინებით 2023-2024 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციით (**დანართი N1**).
2. სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს **2023-2024 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის** (თანდართული უქმე დღეების ჩამონათვალით) **ცხრილის შედგენა** და ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის წარდგენა, ასევე ბსუ-ს პორტალზე განთავსება და სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირება.
3. წინამდებარე ბრძანების გათვალისწინებით ცვლილება შევიდეს ,,2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს სტუდენტთა ადმინისტრაციული რეგისტრაციის (სწავლის საფასურის გადახდის) ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 18 აგვისტოს №01-02/153 ბრძანებაში.
4. ფაკულტეტებმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების შესახებ შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირება.
5. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ასევე ველში ,,აკადემიური კალენდარი“) და სტუდენტური პორტალის მეშვეობით ეცნობოს ბსუ-ს სტუდენტებს და პერსონალს.
6. წინამდებარე ბრძანების აღსრულების კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ (ა. ბერიძე).
7. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, ინსტიტუტებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილ ვადაში და წესით, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს 2023-2024 სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარში ცვლილების შეტანის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 22 სექტემბრის N01-02/181 ბრძანების

N1 დანართი

ბსუ-ს 2023-2024 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი

1. 2023-2024 სასწავლო წელს ბსუ-ს სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ლაბორატორიული სამუშაო) ბსუ-ს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე (გარდა „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისა) წარიმართოს (აკადემიური კალენდარი განისაზღვროს) შემდეგ ვადებში:

   1.1. შემოდგომის სემესტრში:

   ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს 2023 წლის 02 ოქტომბერს და დასრულდეს 2024 წლის 19 იანვარს;

   ბ) სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია ან/და ცვლილებების შეტანა დასრულდეს 2023 წლის 16 სექტემბერს;

   გ) საშობაო არდადეგები გამოცხადდეს 2023 წლის 30 დეკემბრიდან 2024 წლის 08 იანვრამდე;

   დ) ძირითადი გამოცდები ჩატარდეს 2024 წლის 22 იანვრიდან 10 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები - 2024 წლის 12 თებერვლიდან 17 თებერვლის ჩათვლით.

   1.2. გაზაფხულის სემესტრში:

   ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს 2024 წლის 4 მარტს და დასრულდეს 2024 წლის 15 ივნისს;

   ბ) სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია ან/და ცვლილებების შეტანა დასრულდეს 2024 წლის 24 თებერვალს;

   გ) ძირითადი გამოცდები ჩატარდეს 2024 წლის 17 ივნისიდან 6 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდო - 2024 წლის 08 ივლისიდან 13 ივლისის ჩათვლით;

   დ) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება მოხდეს 2024 წლის 15 ივლისიდან 27 ივლისის ჩათვლით;

2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (60 კრედიტიანი) სასწავლო პროცესი დაიწყოს 2023 წლის 09 ოქტომბრიდან.

3. სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ ლაბორატორიული სამუშაო) ჩატარდეს ყოველ დღე, გარდა შაბათ-კვირისა (საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ამ მიზნით შაბათის გამოყენება), ფაკულტეტზე შემუშავებული სასწავლო ცხრილების შესაბამისად. აკადემიური საათი განისაზღვრება 50 წუთით, ხოლო მეცადინეობათა შორის შუალედი/შესვენება - 10 წუთით.